თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1556010

ნომერი: AR1257701

თარიღი : 13.10.2014

გაცემის თარიღი : 23.10.2014

გაცნობის თარიღი : 23.10.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი II , კორპუსი N7-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი კუჭაშვილი პ/ნ 01019017918
- თბილისი ჭ.ბენდელიანის ქ. კორ. 1ა ბ. 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობის ფასადზე კარის ღიობის, ჩასასვლელი კიბის და მოაჯირის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზირი, IIკვ, კორპ. N7–ის მიმდებარედ, შპს „გიითი ინვესტი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე კარის ღიობის, ჩასასვლელი კიბის და მოაჯირის მოწყობის განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება ჯ კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „გიითი ინვესტი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.14.03.006.003, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014347417 04/07/2014წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზები) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ვაჟა–ფშაველას გამზირი, IIკვ, კორპ. N7–ის მიმდებარედ, შპს „გიითი ინვესტი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე კარის ღიობის, ჩასასვლელი კიბის და მოაჯირის მოწყობის განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს (კონსტრუქტორის გადაწყვეტილების მიხედვით) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დამკვეთმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული დასკვნის საფუძველზე დამუშავებულ იქნას კონსტრუქციული სქემა.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.